ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№22-170301

ქ. თბილისი 17 მარტი 2022 წელი

ერთის მხრივ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან გამყრელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსლან შულდიკის მინდობილი პირის არტურ ოსიპოვის სახით, (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: (N004. 04.01.2021წ)გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ - (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ - (შემდგომ „შემსყიდველი“) ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. ელექტრონული ხელმოწერა - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;

1.6. ელექტრონული შტამპი - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება;

1.7. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონლის (შემდგომში - საქონელი) სახელმწოფო შესყიდვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა, კლასიფიკატორის კოდი, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3056.85 (სამიათას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცდახუთი თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს საქონლის მოწოდებასთან.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვების სამმართველოს სამეურნეო სპეციალისტი ირაკლი მაღლაკელიძე.
5.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მოწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზ. №25.
6.2. საქონლის მოწოდება განხორციელდება 2022 წლის 21 მარტის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. შეტყობინების განხორციელება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ლაშა პაპელიშვილი (ტელ.: 599 88-88-96, ელ. ფოსტა: lpapelishvili@lta.gov.ge), თეონა ჯალაბაძე (ტელ.: 555 10-09-60, tjalabadze@lta.gov.ge), მიმწოდებლის მხრიდან - ლევან ლეჟავა (ტელ.: 591 882518, ელ. ფოსტა: l.lezhava@domino.com.ge).

11.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დამატებითი პირობები

13.1.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/ელექტრონული შტამპით.
13.2.ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

დირექტორი
ლევან გამყრელიძე

Levan Gamkrelidze 01008013377
Digitally signed by Levan Gamkrelidze
Date: 2022.03.17 15:42:21

მიმწოდებელი:
შპს ტერმინალ ვესტ თრეიდინგი
მის.: თბილისი, სამგორის რაიონი, თვალჭრელიძის ქ., №2
საიდ. კოდი: 406119178
ბანკი: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE83TB7920036020100004

დირექტორი
არტურ ოსიპოვი

Artur Osipov
Digitally signed by Artur Osipov

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთ.	რა-ობა	ერთ. ფასი	სულ
1	31224810	SOC8-5699 დამაგრძელებელი Linus 5-ადგილიანი 5 მტრ კაბელით	ცალი	7	21.95	153.65
2	31224810	დამაგრძელებელი Linus 5-ადგ. 5მ. კაბ., ამომრთვ.და დამიწ., შავი	ცალი	8	27.5	220.00
3	31224810	დამაგრძელებელი Linus 3-ადგილიანი 10 მტრ კაბელით BLACK	ცალი	5	39.9	199.50
4	31321220	კაბელი (ПВС) (H05VV-F, A05VV-K)2x1,5	მ	50	1.75	87.5
5	31224810	Defender ქსელის ფილტრი ES 5 5m, Black 5 ჩასართველით	ცალი	5	23.1	115.5
6	31224810	Defender ქსელის ფილტრი ES 3 3m, Black 5 ჩასართველით	ცალი	15	20.2	303
7	31224810	SOC7-5682 დამაგრძელებელი Linus 5-ადგილიანი 3 მტრ კაბელით	ცალი	15	17.9	268.5
8	31224810	Defender ქსელის ფილტრი ES 1.8 1.8m, Black 5 ჩასართველით	ცალი	10	17.9	179
9	31224810	Defender ქსელის ფილტრი E318, 3 ჩასართველით 1.8m	ცალი	10	12.2	122
10	31320000	სამკაპი 3 ბუდით 2პ+3 მრგვალი 16A 250B SQ1806-0028 TDM	ცალი	20	9.2	184
11	44530000	ცალუღი ნეილონის 3,6x300 (100ც)	ცალი	1	10.3	10.3
12	32422000	გასართი RJ45 8P8C როზ-როზ DPM	ცალი	3	3.6	10.8
13	31224100	ჩანგალი სწორი (შავი) PROF 16ა	ცალი	15	3.9	58.5
14	31224100	ჩანგალი კუთხის (შავი) PROF 16ა	ცალი	5	3.9	19.5
15	31224700	კალოდკა 4 ბუდით 2П+3 დამიწებით 16A 250B თეთრი SQ1806-0014 TDM	ცალი	5	8.46	42.3
16	18141000	ხელთათმანი ლურჯი, ცისფერი ლატექსით/ნიტრილით დაფარული P300/126	ცალი	7	2.4	16.8
17	44512800	სახრახნისი Ph2 x 125mm SVCM TMP	ცალი	1	14.7	14.7
18	44512800	სახრახნისი Ph0 x 75mm SVCM TMP	ცალი	1	8.15	8.15
19	44512800	სახრახნისი ბრტყელი 5.5x 75mm CR-V TMP	ცალი	1	10.2	10.2
20	44512800	სახრახნისი ბრტყელი 4.0x100mm CR-V TMP	ცალი	1	8.95	8.95
21	44512910	ბურღი ბეტონი CYL-3 10X120 მმSilverPerc	ცალი	1	13.7	13.7
22	44512910	ბურღი ბეტონი CYL-3 8X120 მმSilverPerc	ცალი	1	9.9	9.9
23	44512910	ბურღი ბეტონი CYL-3 6X100 მმSilverPerc	ცალი	1	7.7	7.7
24	44512800	ბიტები დარტყმითი 50 მმ PH1, PH2 (3ც), PH3, PZ2 (2ც), PZ3	ცალი	1	41	41
25	24951120	წებო-ჰერმ. მომენტი ერთი ყველაფრისთვის გამჭვრ. 290 გრ.	ცალი	5	25	125
26	44514100	პისტოლეტი სილიკონის 225MM TOL696-43049	ცალი	1	21.2	21.2
27	44522400	გულანა 70მმ	ცალი	25	4.7	117.5
28	44522400	ცილინდრი ბრუნსაკეტ. B35/35 პატინა	ცალი	20	33.5	670
29	44424200	სკოჩი ორმხვრივი 19*10მ (0310-781019)	ცალი	3	6	18
ჯამური ღირებულება						**3056.85**